ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 7-45-25) 25 იანვარი 2013 წელი

ბრძანება №19

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დვაბზუს თემში მცხოვრები ლაურა როხაძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებისთვის ნომრის მინიჭების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 12 ნოემბრის №228 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ძ“ ქვეპუნქტის, 43-ემუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, ხეივნების, შესახვევების, ჩიხების, (მოედნების, სკვერების, ბულვარებისათვის) სახელწოდების მინიჭების, ნუმერაციისა და მრავალბინიანი სახლების სადარბაზოების, ბინების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 16 მაისის №18 დადგენილების და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შევიდეს ცვლილება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დვაბზუს თემში მცხოვრები ლაურა როხაძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებისთვის ნომრის მინიჭების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 12 ნოემბრის №228 ბრძანებაში და ბრძანების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დვაბზუს თემში მცხოვრები ლუარა როხაძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებისთვის ნომრის მინიჭების შესახებ“

2. ბრძანების 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დვაბზუს თემში ქ.№22-ში მცხოვრები ლუარა როხაძის (პირ: №61002011822) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას (ს/კ. 26.19.12.030) მიენიჭოს №13“.

3. მიღებული ბრძანების შესახებ ეცნობოს:

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“-ს;

ბ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო“-ს;

გ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ. №14)

5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ალეკო მამეშვილი**

Created by free version of DocuFreezer